



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
**სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო
 უნივერსიტეტი**



Legal Entity Public Law

SAMTSKHE –JAVAKHETI STATE UNIVERSITY

წარმომადგენლობითი საბჭო REPRESENTATIVE COUNCIL

ოქმი № 6

„22“ მაისი 2019 წ.

დადგენილება №16

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბალანსზე რიცხული ამორტიზებული და გამოუყენებელი, ქ. ახალქალაქში აღმასწავლებლის ქ. N119-ში მდებარე შენობა-ნაგებობების საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთვის გადაცემის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის და 85-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 13 მაისის N52/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, 39-ე მუხლის პირველი და მე-5 პუნქტების, საქართველოს მთავრობის 2010 წლის 22 მარტის N82 დადგენილებით დამტკიცებული „საკანონმდებლო, ადმინისტრაციული და სასამართლო ხელისუფლების ორგანოების, საჯარო სამართლის იურიდიული პირების, სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი სხვა ორგანიზაციების, აგრეთვე საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობისა და საკონსულო დაწესებულებების ბალანსზე რიცხული ამორტიზებული ან გამოუყენებელი ძირითადი აქტივების ჩამოწერისა და მის შედეგად მიღებული ქონების განკარგვის წესის შესახებ“ დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის, მესამე მუხლის მე-2 პუნქტის, „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებში 2015-2017 წლების ძირითადი და არამწარმოებლური (მიწა) აქტივების მართვის შესაბამისობის აუდიტის“ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2019 წლის 22 იანვრის N17/36 ანგარიშის და აღნიშნული ანგარიშის რეკომენდაციების შესრულების სამოქმედო გეგმის, „სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის (ს/კ 424066977) საკუთრებაში არსებული, ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლენილი ექსპლუატაციისათვის უფარგისი ძირითადი აქტივის (დანართი 1) შეფასების (ტექნიკური მდგომარეობის და საბაზრო ღირებულების დადგენა) შესახებ“ შპს აუდიტორული ფირმა „ლიზიკა აუდიტის“ 2019 წლის 16 მაისის N9/201 აუდიტორული (სამშემფასებლო) დასკვნის, სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2014 წლის 10 დეკემბრის N44 დადგენილებით დამტკიცებული წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტის მე-4 მუხლის „ტ“ ქვეპუნქტის თანახმად:

წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს:

1. „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებში 2015-2017 წლების ძირითადი და არამწარმოებლური (მიწა) აქტივების მართვის შესაბამისობის აუდიტის“ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2019 წლის 22 იანვრის N17/36 ანგარიშის და აღნიშნული ანგარიშის რეკომენდაციების გათვალისწინებით, გადაეცეს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, „სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბალანსზე რიცხული ამორტიზებული ან გამოუყენებელი ძირითადი აქტივების ჩამოწერის მიზნით საინვენტარიზაციო კომისიის შექმნის შესახებ“ სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2019 წლის 18 მარტის N2 ბრძანების საფუძველზე შექმნილი ჩამოწერის საინვენტარიზაციო კომისიის მიერ გამოვლენილი სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბალანსზე რიცხული ამორტიზებული და გამოუყენებელი ქ. ახალქალაქში აღმასწავლებლის ქ. N119-ში მდებარე დანართი 1 -ით განსაზღვრული შენობა-ნაგებობები.
2. დადგენილების პირველი პუნქტით განსაზღვრული საკითხი შეთანხმების მიზნით წარედგინოს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს.
3. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
4. დადგენილება განთავსდეს სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.
5. საფუძველი: სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ამინისტრაციის ხელმძღვანელის რ.თათეშვილის 2019 წლის 22 მაისის მიმართვა N610050.
6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ახალციხე, კ. მებაღიშვილის ქ. N62.

წარმომადგენლობითი საბჭოს
 სპიკერი, პროფესორი

ლ. ჩიხაძე

ლავრენტი ჩიბურდანიძე

საქართველოს მთავრობის 2010 წლის 10 აგვისტოს დადგენილება №236 - სმ III, №99, 13.08.2010წ, მუხ. 1476
 ჩამოსაწერი ძირითადი აქტივების (წინობა-ნაგებობებისა და გადასაცემ მონეტარულიაბათა) ნარჩენი ღირებულების დადგენის აქტი
 2019 წლის 01 იანვრის მდგომარეობით
 სსიპ სამხრეთ-ქავკასეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

| № | ძირითადი საშუალებების დასახელება | ნელი ექსპლ უატაცი აში შესვლის | ვადა ექსპლ უატაცი აში ყოფნის | ლაარი გადაფუტება (ლაარი) | ბულალტრული ცვეთა გადაფუტებამდე | | | ფიზიკური ცვეთა გადაფუტებამდე | | | ნარჩენი საბალანსო ღირებულება გადაფუტებამდე (ლაარი, გრ.5-გრ.9) | გადაფუტების კოეფიციენტი საქართველოს პრეზიდენტის 09.06.1997 წ. N295 ბრძანებულების საფუძველზე | ღირებულება გადაფუტების შემდეგ (ლაარი) | (ლაარი) ცვეთა გადაფუტების შემდეგ | საამოაღრტიზა ცისო ანარი ცხის ნორმა ძირი თალი ფონდის სრულ აღდგენაზე | ფაქტობრივი ცვეთა | | | | ლაარი | წარჩენი საბალანსო ღირებულება |
|------|----------------------------------|-------------------------------|------------------------------|--------------------------|--------------------------------|-------|---|------------------------------|---------------------|-------------------------------------|---|---|---------------------------------------|----------------------------------|--|---------------------------|--------------------------------|-------|---------|---------|------------------------------|
| | | | | | % | ლაარი | % | ლაარი | ბულალტრული ცვეთის % | საბალანსო ფაქტობრივი მდგომარეობით % | | | | | | ბულალტრული მდგომარეობით % | ბულალტრული მონეტარული ცვეთის % | | | | |
| 1 | ცენტრალური გათბობის სისტემა | 1970 | 48 | 1092,59 | | | | | | 1092,6 | 2,22 | 2424,29 | 921,29 | | | 1 | 1 | 45,4 | 179,46 | 1323,54 | საქართველო, ქაბალქალაქი |
| 2 | გათბობის სისტემა | 1974 | 44 | 4229,10 | | | | | | 4229,1 | 2,22 | 9388,40 | 3087,40 | | | 1 | 1 | 40,9 | 752,34 | 5548,66 | საქართველო, ქაბალქალაქი |
| 3 | ელექტროსადგური (ელ. ქვექსელი) | 1993 | 25 | 2286,00 | | | | | | 2286 | 2,11 | 4823,50 | 3692,50 | | | 3,4 | 3,4 | 85,96 | 453,58 | 677,42 | საქართველო, ქაბალქალაქი |
| ჯამი | | | | 7607,69 | | | | | | 7607,7 | | 16636,19 | 7701,19 | | | | | | 1385,38 | 7549,62 | |

აუდიტორი მამუკა ზარიანია

ხელისმომწერია




ბა